პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 56 (3540)

21 მარტი. 1968 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## დაწინაურდა გაფრინდაშვილი

ბელგრადი, 20 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VIII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ნ. გაფრინდაშვილ — ქ. გოლუი-რაძიკოვსკას (პოლონეთი) და ა. კუშნირ — მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრები.

მსოფლიო ჩემპიონმა მალე „ჩაკეტა" თამაში ინგლისურ დაწყებაში და მეტოქის ლაზიერის ფრთის იერიშისთვის მზადებას შეუდგა. როცა გაფრინდაშვილმა ორი კუს უპირატესობა მოიპოვა, იერიშიც დაიწყო. ამოძრავდნენ პაიკები. პოლონელი მოჭადრაკე იძულებული შეიქნა ფიგურაში 3 პაიკი მიეცა. ენდშპილში ნონამ ადვილად მოახდინა უპირატესობის რეალიზება. 41-ე სვლაზე გოლუი დანებდა.

მ. ლაზარევიჩმა ბენონის რთულ დებიუტს მიმართა, მაგრამ დასაწყისშივე დაკარგა ტემპი. ა. კუშნირმა მხედარი ცენტრში გადაიყვანა, რითაც იუგოსლავიელის პოზიცია საგრძნობლად შევიწროვდა. ლაზარევიჩმა გაცვალა ეს მხედარი, მაგრამ ამან როდი უშველა. კუშნირი გახსნილი ვერტიკალით შეიჭრა მეტოქის ბანაკში და ერთპიროვნულ ლიდერს 25-ე სვლაზე შამათის მუქარით დააყრევინა ფარ-ხმალი.

| გვარი. ქვეყანა | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტ. შტადლერი იუგოსლ. | 1 | ■ | 0 | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | · | | | | | | 1 | | |
| მ. ლილიაკი ,,—,, | 2 | 1 | ■ | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | | | | | | 1 | 1 | | |
| ნ. გაფრინდაშვილი სსრკ | 3 | 1 | 1 | ■ | ½ | ½ | 1 | | | | | | 1 | ½ | 1 | | |
| ა. ნიკოლაუ რუმინეთი | 4 | ½ | 1 | ½ | ■ | ½ | | | | | | 1 | ½ | ½ | 1 | | |
| კ. იოვანოვიჩი იუგოსლ. | 5 | ½ | 1 | ½ | ½ | ■ | | | | | ½ | ½ | ½ | 0 | | | |
| ქ. გოლუი-რაძიკოვსკა პოლონ. | 6 | 0 | 0 | 0 | | | ■ | | | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | | | |
| ლ. ითუიჩ-ჟივკოვიჩი იუგოსლ. | 7 | ½ | 0 | | | | | ■ | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | 0 | | | |
| კ. კონარკოვსკა-სოკოლოვა ,,—,, | 8 | · | | | | | | 0 | ■ | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | | |
| მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი ,,—,, | 9 | | | | | | 1 | 1 | 1 | ■ | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | | |
| რ. იოვანოვიჩი ,,—,, | 10 | | | | | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | ■ | · | ½ | | 1 | | |
| ე. ბილეკი უნგრეთი | 11 | | | | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | · | ■ | | | · | | |
| ვ. ასენოვა ბულგარეთი | 12 | | | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | | ■ | | | | |
| ა. კუშნირი სსრკ | 13 | | 0 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | | | | ■ | | | |
| ფ. ჰეემსკერკი ჰოლანდია | 14 | 0 | 0 | 0 | | | | | 0 | 0 | 0 | · | | | ■ | | |

ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) — კ. იოვანოვიჩის (იუგოსლავია) და ვ. ასენოვა (ბულგარეთი) — რ. იოვანოვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

იუგოსლავიის ჩემპიონმა მ. ლილიაკმა მოუგო მისსავე თანამემამულე ლ. ითუიჩ-ჟივკოვიჩს.

ორი პარტია გადაიდო. ტ. შტადლერს კ. კონარკოვსკა-სოკოლოვასთან (ორივე — იუგოსლავია) უიმედო პოზიცია აქვს, ხოლო ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) ყაიმის შანსს ინარჩუნებს ე. ბილეკთან (უნგრეთი).

8 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 6,5 ქულა აქვს, მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩს — 6, ა. კუშნირსა და ა. ნიკოლაუს — 5,5-5,5, მ. ლილიაკს — 5, რ. იოვანოვიჩს — 4 (1), ვ. ასენოვას, ლ. ითუიჩ-ჟივკოვიჩსა და კ. იოვანოვიჩს — 4-4, კ. კონარკოვსკა-სოკოლოვას და ტ. შტადლერს — 3,5-3,5 (1-1), ქ. გოლუი-რაძიკოვსკას — 1, ე. ბილეკს — 0,5 (2), ფ. ჰეემსკერკს — 0 (1).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

## სამნი — დაუმარცხებლად

19 მარტს ივანო-ფრანკოვსკში ჩატარდა სსრ კავშირის ხელბურთელთა ჩემპიონატის III ტურის მატჩები, ხოლო კაუნასში მოასპარეზეებს გამოსასვლელი დღე ჰქონდათ. კაუნასის ჯგუფში III ტურის მატჩები დამთავრდა გუშინ, გვიან საღამოს. ამიტომ გთავაზობთ მხოლოდ ივანო-ფრანკოვსკიდან მიღებულ ცნობებს.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელები კვლავ დაუმარცხებლად ლიდერობენ. ამჯამად მათ მოუგეს კრასნოდარის „ბურევესტნიკს" — 22:16 (11:7). მოსკოვის „კუნცევომ" თამაშის პირველი ნახევარი შედარებით იოლად მოუგო ლვოვის ასკ-ს (12:8). II ტაიმში არმიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მოსკოველებს, მაგრამ ტაიმი ფრედ დაამთავრეს (8:8) და საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ (16:20). ტურნირში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნიეს ბაქოელმა არმიელებმა. ამჯერად, ისინი დამარცხდნენ კიეველ თანაკლუბელებთან — 13:14 (9:8).

ქალთა გუნდების გათამაშების ცხრილში მორიგი 2-2 ქულა ჩაიწერეს კიევის „სპარტაკმა" და მოსკოვის „ლუჩმა". პირველმა დაამარცხა ალმა-ათის „ბურევესტნიკი" — 20:11 (14:5), მეორემ — ტაშკენტის „ტექსტილშჩიკი" — 26:8 (12:2). კიევის „ბურევესტნიკმა" მოუგო ჩერკასელ თანაკლუბელებს — 10:7 (4:3).

ივანო-ფრანკოვსკში ახლა მხოლოდ 3 გუნდი იბრძვის დაუმარცხებლად: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი, მოსკოვის „ლუჩისა" და კიევის „სპარტაკის" ქალთა კოლექტივები.



მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე, რომელიც მინსკის საწყლოსნო სპორტის სასახლეში ტარდება, 11 ქვეყნის 50-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს.

სურათზე: 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებულნი: მარცხნიდან მარჯვნივ — მეორე პრიზიორი კ. ბუტერი (ჰოლანდია), პირველ ადგილზე გასული ტ. საველიევა (სსრ კავშირი) და მესამე პრიზიორი კ. სიკენსი (ჰოლანდია).

ფოტო მ. მინკოვიჩისა.

## 3 აპრილს — მიუნჰენში

როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, მოსკოვის „ტორპედოსი" და უელსის „კარდიფ-სიტის" ორმა შეხვედრამ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე, ვერ გამოავლინა გამარჯვებული. საჭირო შეიქნა მესამე, დამატებითი მატჩის ჩატარება.

უეფა-მ გადაწყვიტა „ტორპედოსი" და „კარდიფ-სიტის" ეს თამაში შედგეს მიუნჰენში (გფრ) 3 აპრილს.

## ფინალისტები გამოვლინდნენ

გუშინ ტაშკენტსა და ბაქოში შედგა ნახევარფინალური მატჩები „ენძელას" თასზე.

ტაშკენტში ითამაშეს მოსკოვის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა. ბურთები პირველ ტაიმში გაიტანეს ვოტოლოვსკიმ და ავრუცკიმ.

ბაქოში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტჩი" და როსტოვის არმიელთა გუნდი. მატჩის შედეგია 1:0 ბაქოელთა სასარგებლოდ. გოლის ავტორია ბანიშევსკი.

ამრიგად, „ენძელას" ფინალისტები გამოვლინდნენ. მოსკოვის „დინამო" და ბაქოს „ნეფტჩი" 27 მარტს ითამაშებენ თბილისში.

## სოხუმელთა გამარჯვება

სოხუმი (ტელეფონით). გუშინ აფხაზეთის დედაქალაქში შედგა ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს კიევის „დინამოს" დუბლიორები.

სოხუმელმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

## მაიცა უკანასკნელი „ოქრო"

ტერსკოლი, 20 მარტი. ვაჟთა სწრაფდაშვებით დამთავრდა სსრ კავშირის სამთომოთხილამურეთა 34-ე ჩემპიონატი. როგორც სამთო სამჭიდის სხვა სახეობებში, ისე აქაც უძლიერესი იყო 24 წლის კიროვსკელი სპორტსმენი ვ. მელნიკოვი. იგი პირველი იყო სპეციალურ სლალომში, გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში. მეოთხე ოქროს მედალი მას მიენიჭა სამთო სამჭიდში გამარჯვებისთვის.

## 22 მარტს

კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში (რუსთაველის პროსპექტი № 12/1) ჩატარდება რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა აქტივის კრება. კრებაზე მოწვეული არიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

1. 1967 წლის შედეგები და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (მომხსენებელი — საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე).

დასაწყისი 11 ს.

◆ ფხენიანი, 20 მარტი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გადაჭრით მოსთხოვა, რომ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება მეხიკოს თამაშებში ამ რესპუბლიკის გუნდის „ჩრდილოეთ კორეის" სახელით გამოსვლის თაობაზე. ამას გარდა, განცხადებაში ნათქვამია, რომ თუ საერთაშორისო კომიტეტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას თამაშებში მონაწილეობის ნებას დართავს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები ოლიმპიადაში არ გამოვლენ.

◆ რანგუნი, 20 მარტი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდმა წააგო შეხვედრა ბირმის ფეხბურთის ფედერაციის ნაკრებთან — 0:2.

◆ კარაჩი, 20 მარტი. ალმა-ათის „კაირატის" ფეხბურთელებმა პაკისტანის ამ ქალაქში დაამარცხეს ქვეყნის ნაკრები — 6:2.

◆ ადელაიდა, 20 მარტი. ავსტრალიის ამ ქალაქის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენი რონ კლარკი მხოლოდ მესამე იყო 3000 მეტრზე რბენაში. გაიმარჯვა ამერიკელმა ტ. სმითმა, რომელმაც დისტანცია 7.55,0-ში დაფარა. ავსტრალიის ჩემპიონმა დიანა ბურჟმა მოიგო 100 მეტრზე რბენა — 11,5. ამერიკელი ჯ. სილვესტრი პირველი იყო ბირთვის მკვრელთა შორის. მისი შედეგია 19,01 მ.

◆ ლონგ-ბიჩი, 20 მარტი. ორი ოლიმპიადის ჩემპიონმა ჰ. ო'ბრაიენმა კალიფორნიის ამ ქალაქში ბადრო 58,50 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს თავისებური რეკორდია. ამ ასაკში (36 წელი) ასეთი მაღალი შედეგი ჯერ არავის უჩვენებია.

უკანასკნელი საათი...

# ზრუნვის ხელი აჭყვიათ

თბილისის 87-ე საშუალო სკოლის აღსაზრდელები სასწავლო დღეს მუდამ ათი წუთით ადრე, დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყებენ. თუ კარგი ამინდია, დილის დაჭურვა ეზოში ტარდება, თუ არა — სკოლის ოთხივე სართულის დერეფნებში — რადიოს მეშვეობით. ვარჯიშს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი შ. კაკაურიძე ხელმძღვანელობს.

შ. კაკაურიძემ ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ფიზაღზრდის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ამ სკოლაში. ეს იყო ოცი წლის წინათ, 1948 წელს. სკოლაც სწორედ მაშინ დაარსდა.

გადიოდა წლები... სპორტული სექციების შექმნას შიდასასკოლო შეჯიბრებებში, სარაიონო და საქალაქო ტურნირებში მონაწილეობა მოჰყვა. იზრდებოდნენ სპორტსმენები, რომლებმაც შემდგომ სახელი გაუთქვეს მშობლიურ სკოლას, მასწავლებელს. ამ სკოლის მოსწავლეები იყვნენ მოჭადრაკე ე. უბილავა, მოჭიდავე ო. ჩიბურდანიძე, საქართველოს სხვადასხვა წლების ჩემპიონები ტანვარჯიშში, სპორტის ოსტატი ჯ. ელიზბარიშვილი, ვ. ხაბეიშვილი, ბ. მირველაშვილი. კალათბურთელებმა — თ. ქათამაძემ, შ. კაცაძემ და გ. ბიჭიაშვილმა მოსწავლეთა 1966 წლის საკავშირო სპარტაკიადაში ჩემპიონობაც მოიხვეჭეს.

დღეს სკოლას აქვს კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის კარგად მოვლილი მოედნები, დარბაზი. ხშირად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები, შარშან კი ამ სკოლის სპორტსმენებმა სარაიონო სპარტაკიადაში I გუნდური ადგილი დაიკავეს.

კაკაურიძის აღსაზრდელები გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლის მოსწავლეებს უწევენ შეფობას. შარშან ესტუმრნენ კიდეც მათ და ამხანაგური შეხვედრები გამართეს ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. თავის მხრივ ბაკურციხელებიც ეწვევენ ენ თბილისელ მეგობრებს.

**გ. დოლენჯაშვილი.**

# ეთერ ბეროზაშვილი — პირველი ჩემპიონი



„სინათლეს“ საჭადრაკო-საშაშო კლუბში დამთავრდა თბილისის ქალთა I პირველობა რუსულ შაშში, რომელშიც 14 მოშაშე მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა — უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეორეკურსელმა ე. ბეროზაშვილმა და ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხეკურსელმა ი. მემარნიშვილმა — 11-11 ქულა. კოეფიციენტთა სისტემით I ადგილი და თბილისის პირველი ჩემპიონის სახელი ე. ბეროზაშვილს მიეკუთვნა. ახალგაზრდა ჩემპიონმა 10 შეხვედრა მოიგო, 2 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო.

III ადგილი დაიკავა ხ. პახლევანიანმა — 10,5, IV-V ადგილები გაიყვეს ე. შვედოვამ და საქართველოს ნაკრების წევრმა ლ. ბარამაშვილმა — 9,5-9,5, VI იყო ლ. ბარდინინა — 8.

აპრილის დამდეგს რუსთავში დაიწყება საქართველოს ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც ითამაშებს თბილისის პირველობაში გამარჯვებული ექვსი მოშაშე.

**ხ. პახლაჯიანი,**
პირველობის მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

სურათზე: ე. ბეროზაშვილი.

## კომკავშირს მიეძღვნა

ხაშურის განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომმა ამას წინათ ჩაატარა პირველობები ჭადრაკსა და შაშში. შეჯიბრებები კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ჭადრაკში უძლიერესი აღმოჩნდა გ. ამირხანოვი (სოფ. იტრიის საშუალო სკოლა), შაშში — ზ. მოსეშვილი (სოფ. ცხრამუხის 8-წლიანი სკოლა).

**მ. ზოხეშვილი.**



ამას წინათ ოსტატი თ. კიკიანი და ოსტატობის კანდიდატი ს. მეგრელიშვილი სამტრედიელ მოჭადრაკეებს ეწვივნენ. ოსტატმა წაიკითხა ლექცია: „ჭადრაკი გუშინ, დღეს და ხვალ“. ს. მეგრელიშვილმა თამაშის ერთდროული სეანსი ჩაატარა 12 დაფაზე. სტუმარს მოუგო ი. რუხაძემ (საქსოფტექნიკის სამტრედიის განყოფილება), ხოლო დ. ჩხეიძემ (რკინიგზის საავადმყოფო) და გ. ჩიქოვანმა (სალიანდაგო დისტანცია) მასთან ყაიმს მიაღწიეს. დანარჩენები დამარცხდნენ.

სურათზე: ს. მეგრელიშვილი ერთდროული თამაშის სეანსის დროს.

ტექსტი და ფოტო ნ. მანჯგალაძისა.

# ზონალური...

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საქართველოს მოსწავლეთა XX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრებები ტარდება. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ასპარეზობის მოკლე ანგარიშს.

### ● ჭიათურა

„მაღაროელის“ ცენტრალური სტადიონის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ტურნირი.

შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით გაიმართა, მონაწილეობდნენ ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის და ვანის გუნდები. პირველობა მოიპოვეს მარგანეცის ქალაქის სპორტსმენებმა. მათ ანგარიშით 27:20 დაამარცხეს თერჯოლელები, ფინალში კი ზესტაფონელებს სძლიეს — 28:21.

**თ. შეყილაძე.**

### ● კასპი

მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება დაუმარცხებლად დაამთავრა მასპინძლების გოგონათა გუნდმა. ჭაბუკებში გაიმარჯვეს დუშეთის რაიონის სპორტსმენებმა.

**ლ. მუსხელაძე.**

### ● ზესტაფონი

ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ასპარეზობდნენ მაგიდის ჩოგბურთელები და ფრენბურთელები. მაგიდის ჩოგბურთელ გოგონებში ყველას აჯობეს საჩხერელებმა, ჭაბუკებში—ზესტაფონელებმა. ფრენბურთში პირველობა მოიპოვეს ზესტაფონის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა.

**ა. განუგრავა.**

# სიახლენი

ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის დადგენილებით, 1968 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა ცვლილებები ტანვარჯიშის შეჯიბრებების წესებში. ახალი წესების მიხედვით სავალდებულო პროგრამის შესასრულებლად ყველა თანრიგის ტანმოვარჯიშეს ეძლევა მხოლოდ ერთი ცდა. ბჯენით ხტომებში ისევ ორი ცდაა, მაგრამ ტანმოვარჯიშეს გამორბენის მხოლოდ ორჯერ შესრულების უფლება ეძლევა. ახალი წესების მიხედვით გაუქმებულია იარაღიდან ბოგის მოცილებისა და დახტომის მანძილის აღნიშვნა, ფრენის ფაზების არასრულყოფილად შესრულების დროს კი დაკლება ძველი წესების მიხედვით მოხდება.

წერილში მოკლედ შევეხებით ბჯენითი ხტომის გამორბენის ფაზას.

მაღალკვალიფიციურ ტანმოვარჯიშეებში ყირამალით ბჯენითი ხტომების შესრულებისას გამორბენის სიგრძე 18-25 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ბოგზე შესვლის სიჩქარე ქალებისთვის 6,5-6,6 წამს აღწევს, ვაჟებისათვის — 7,0-7,6 წამს. გამორბენის სიგრძე და სიჩქარე დამოკიდებულია იარაღის სიმაღლეზე, სიგრძეზე, იარაღიდან ბოგის დაცილების მანძილზე, შესასრულებელი ხტომის ფორმაზე და სხვ.

გამორბენის სიგრძე უნდა დავადგინოთ წვრთნის პროცესში, ინდივიდუალურად. მისი დადგენის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ სპორტსმენის სიჩქარის განვითარების უნარი. იმ ტანმოვარჯიშეს, რომელიც მაქსიმალურ სიჩქარეს შედარებით გვიან ავითარებს, გამორბენის სიგრძე უფრო დიდი აქვს, ვიდრე მას, რომელსაც თავიდანვე დიდი სიჩქარის განვითარება შეუძლია.

დაკვირვებიდან ჩანს, რომ გამორბენის სიგრძე ყოველთვის სტაბილური არ არის. იგი იცვლება: სასწავლო-საწვრთნელი წლის განმავლობაში სპორტულ ფორმაში შესვლასთან დაკავშირებით, უშუალოდ წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში ემოციური მდგომარეობის მიხედვით, წვრთნისა და გარემო პირობების მიხედვით (სად სრულდება ვარჯიში — ღია ცის ქვეშ, შენობაში, რეზინის ბილიკზე, უბილიკოდ თუ სხვ.).

გამორბენის სიგრძის დადგენისთვის და საჭიროების შემთხვევაში მასში შესაბამისი შესწორებების შეტანისთვის მიზანშეწონილია აღინიშნოს ორი ხაზი: პირველი — გამორბენის დასაწყისში — „სასტარტო“ და მეორე — ცალი ფეხით წინასწარი არეკნის ადგილას — „საკონტროლო“ ხაზი.

გამორბენის მანძილის ზუსტად დადგენა უზრუნველყოფს ბოგიდან მძლავრ არეკნს და ხტომის სრულყოფილად შესრულებას.

წესებში ცვლილება საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ მოვაგონოთ ტანვარჯიშის მწვრთნელებს და ტანმოვარჯიშეებს, რომ დროა თავი დავანებოთ გამორბენის მანძილის ნაბიჯებითა და ტერფებით გაზომვის მოძველებულ ხერხებს, გადავიდეთ სანტიმეტრებით აღნიშვნაზე.

**ს. თედეევი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

### ✦ სოხუმი

აქ დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური I ადგილი დაიკავეს პავლოვის სახელობის საშუალო სკოლის ნორჩმა ათლეტებმა, მაგიდის ჩოგბურთში უძლიერესნი იყვნენ ახალსოფლელი მოსწავლეები, ხოლო მოჭადრაკეთა შორის პირველობა არავის დაუთმეს ბესლეთელებმა.

**შ. ჯალაღონია.**

### ✦ გულრიფში

მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა შეჯიბრებებში, რომლებიც მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა, შესაბამისად გაიმარჯვეს ბაბუშარის ქართული და დრანდის რუსული საშუალო სკოლების ნორჩმა სპორტსმენებმა.

**ჯ. შალვაძე.**

### ✦ თელავი

სოფელ ფშავლის ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა ამხანაგური შეხვედრები გამართეს წინანდლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებთან. კალათბურთში მასპინძლებმა იმარჯვეს (28:22), ფრენბურთში — სტუმრებმა (2:0).

**შ. ჯაჭვაძე.**

### ✦ ოჩამჩირე

მოშაშეთა რაიონულ გუნდურ პირველობაში ყველას აჯობა მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. ამ მეურნეობის თანამშრომელმა თ. კაჭკაჭიშვილმა ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პირად პირველობაში.

• • •

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო პირველობები ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჩემპიონები გახდნენ: ჭადრაკში — გ. ჩარგმელაშვილი, შაშში — შ. ხაპსპა, მაგიდის ჩოგბურთში — კ. ხუხუნაშვილი.

**რ. ჟღილა.**

### ✦ ახმეტა

ორ კვირას გაგრძელდა ახმეტის რაიონის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც მიზნად ისახავდა რესპუბლიკური ზონალური პირველობისთვის პერსპექტიულ ფეხბურთელთა შერჩევას.

ფინალში გავიდნენ ალვანის საბჭოთა მეურნეობისა და საკონსერვო ქარხნის გუნდები. წარმატება ხვდათ მეკონსერვეებს.

**შ. ნათელაური.**

### ✦ ონი

გაიმართა მოსწავლე მოთხილამურეთა რაიონული ჩემპიონატი. გუნდურ ჩათვლაში ღლოლელებმა გაიმარჯვეს. მათვე ისახელეს თავი პირად ჩათვლაში: ნ. ბალიაშვილმა მოიგო 3 და 5 კილომეტრზე რბენა.

ჭაბუკები 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ცდიდნენ ძალას. 5 კილომეტრზე ყველას აჯობა კვაშხიეთელმა ლ. მესხმა, 10 კილომეტრზე რბენა კი ღებელმა ჯ. გოგრიჭიანმა მოიგო.

**დ. ხახიაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

# თავს სინანული სჯობია...

ნაუცბათევად შემუშავებული დებულება შეიძლება შეჯიბრების უხეიროდ ჩატარების საბაბი გახდეს. ამიტომ მისი შედგენა დიდ გულმოდგინებასა და სიფრთხილეს მოითხოვს. თბილისის მასწავლებელთა IX ტრადიციული სპარტაკიადის დებულებას სწორედ უყურადღებობა ეტყობოდა. იგი განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა, შეჯიბრების ხელმძღვანელობა კი მასწავლებელთა სახლს და „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოს დააკისრეს. დებულება მხოლოდ მაშინ დააგზავნეს, ასპარეზობის დაწყებამდე რამდენიმე დღე რომ რჩებოდა.

წინდაუხედაობის შედეგმა სპარტაკიადის პირველსავე დღეებში იჩინა თავი. მსაჯთა კოლეგიის შექმნა თავის დროზე არავის მოგონებია. შეჯიბრების დღეებში ხვეწნა-მუდარით დაყოლიებულმა მსაჯებმა ზოგიერთ სახეობაში საქმე კურიოზამდეც კი მიიყვანეს. წამოვიდა პროტესტის ნიაღვარი. განსაკუთრებით „საინტერესო“ იყო ინციდენტი, რომელიც ლენინისა და პირველი მაისის რაიონების ფრენბურთელთა შეხვედრის დროს მოხდა. გადამწყვეტ მომენტში პირველი მაისის გუნდმა უხეშად დაარღვია მოთამაშეთა გადანაცვლების წესი, მაგრამ ვინაიდან ხამსაჯო ოქმებში სათანადო აღნიშვნები არ შეჰქონდათ, ეს ამბავი გაურკვეველი დარჩა.

არა ერთი პროტესტი დაიწერა „უცხო“ სპორტსმენის გამოც. როგორც გამოირკვა, ზოგიერთ სკოლაში ეს მასწავლებლები სპარტაკიადამდე რამდენიმე დღით ადრე „მიუღიათ“. დებულებით ხომ მუშაობის სტაჟის ჩვენება სავალდებულო არაა, თავს იმართლებდნენ „ბრალდებულთა“ მფარველები. სხვათა შორის, მხნეობას მათ დებულების ის სტრიქონებიც მატებდა, სადაც სიტყვა-სიტყვით ასე წერია: „შეჯიბრებაზე დაიშვებიან მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები და სკოლის სხვა მუშაკები“. ხომ არ აჯობებდა ეს შეჯიბრება სკოლის მუშაკთა სპარტაკიადად წოდებულიყო?

დებულებით, თასი, ვიმპელები და სიგელებიც იყო დაწესებული, მაგრამ ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების გუნდებს, რომლებმაც 5 სახეობის ჯამში შესაბამისად საპრიზო ადგილები დაიკავეს, დღემდე არ მიუღიათ ჯილდოები.

**თ. გაჩეჩილაძე.**

## [illegible]



კამჩატკის ოლქის სოფელ პარატუნკაში აიგო უნიკალური ღია აუზი, რომლისთვისაც მიწისქვეშა ცხელი წყაროების წყალს იყენებენ. ვულკანური სითბოს წყალობით წყლის ტემპერატურა დიდ ყინვაშიც +36-დან +42 გრადუსია. იგი ათბობს მილებს შენობაშიც, სადაც განლაგებულია გასახდელები, შხაპები, ბუფეტი, დასასვენებელი ოთახები. აუზში სამკურნალო აბაზანების მიღება დღეში 3 ათას კაცს შეუძლია.

ს უ რ ა თ ზ ე: პარატუნკის აუზი.

ფოტო ი. მურავინისა.



კარგ ამინდში ტამბოვის საავიაციო სპორტული კლუბის აეროდრომის თავზე პარაშუტები იშლება. ვეტერან ი. სავკინს პარაშუტით 5 ათასზე მეტი ნახტომი აქვს შესრულებული თვითმფრინავიდან. დაშვების დიდ სიზუსტეს გვიჩვენებენ მსოფლიოს რეკორდსმენები ი. კურგანოვი და ა. სალდაბოლსი. სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ჭაბუკები ჯერჯერობით ვერ აღწევენ ასეთ ოსტატობას, მაგრამ ისინი ხომ მხოლოდ მეორედ თუ მესამედ ეშვებიან.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ოჯახი — ივანე, თამარ, ალიოშა კურგანოვები. ივანემ სპორტის ოსტატობა ტამბოვის აეროკლუბში მოიპოვა. შემდგომში მან საუკეთესო საბჭოთა პარაშუტისტებთან ერთად მოხსნა აშშ-ს სპორტსმენთა მსოფლიო რეკორდები დაშვების სიზუსტეზე დღისით და ღამით კომბინირებულ ჯგუფურ ხტომაში. ივანეს მკერდს უმშვენებს სამხედრო-შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა არმიის ორგზის ჩემპიონის ოქროს მედლები. ახლა იგი ისე ღელავდა, როგორც სარეკორდო ნახტომების წინ: მისი მეუღლე პირველად ხტებოდა პარაშუტით. მშობლებთან მოირბინა პატარა ალიოშამაც. ისიც ეჩვევა აეროდრომს.

ფოტო ვ. ხუდიაკოვისა.

სპორტული კალეიდოსკოპი

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# „ბურევესტნიკმა“ მატჩი გააპროტესტა

კიევი, 20 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, ადგილობრივი არმიელების განმეორებითი მატჩი თბილისის „ბურევესტნიკთან“, სპეციალისტების აზრით, არ უნდა ყოფილიყო საინტერესო. როგორც ჩანს, ისინი მტკიცედ იყვნენ პირველი შეხვედრის შთაბეჭდილების ტყვეობაში. არმიელებმა გუშინწინ მართლაც მოიგეს ეფექტურად და დამაჯერებლად. და მაინც, ჩემის აზრით, სპეციალისტები თავიანთ პროგნოზებში ოდნავ აჩქარდნენ, რადგან 13-ქულიანი უპირატესობა, რომელსაც ცსკა-მ კიევის პირველ მატჩში მიაღწია, არაფერია იმ პასივთან, რომელიც არმიელებს „ბურევესტნიკთან“ თბილისის მეორე შეხვედრაში ჰქონდათ. ვისაც ეს დაავიწყდა, უნდა შევახსენო, რომ გათამაშების ლიდერი (არმიელები მაშინაც ლიდერთა ჯგუფში ირიცხებოდნენ) მაშინ 27 ქულით დამარცხდა.

ესეც რომ არა, გუშინწინდელი შეხვედრა მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმის უფლებას არ გვაძლევდა თუნდაც იმიტომ, რომ „ბურევესტნიკმა“ უბრალოდ ცუდად ითამაშა და თავისი შესაძლებლობა ბოლომდე ვერ გამოავლინა. ჩვენ იმ დღეს ვერ ვნახეთ ნამდვილი კოვალენკო, ცენტრალური თავდამსხმელი, რომლის აყვანა განზრახული აქვს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ა. გომელსკის, რა თქმა უნდა, ნაკრებს ეს კალათბურთელი იმდღევანდელი თამაშის მიხედვით არ აჰყავს. ნამდვილი კოვალენკო, ან უფრო სწორად, მისი ფიზიკური უპირატესობის ყოველმხრივ გამოყენება, მთელ რიგ სირთულეებს შეუქმნის რომელ მეტოქესაც გნებავთ და მათ შორის — კიეველებს. ეს ცხადი იყო და მეც მეორე დღეს, მართალი გითხრათ, ფსიქოლოგიურად განვეწყვე უფრო რთული და დაძაბული ბრძოლისთვის.

ჩემი მოლოდინი გამართლდა: „ბურევესტნიკმა“ ბრწყინვალედ ითამაშა. მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ კოვალენკოც. მართალია, მასპინძლებმა პირველი ტაიმი 6 ქულით მოიგეს (36:30), მაგრამ ცხადი იყო, რომ ამ სხვაობას ისინი ვერ შეინარჩუნებდნენ. ასეც მოხდა — მატჩის ბედი ფაქტიურად ბოლო წუთებზე გადაწყდა. უაღრესად მძაფრი ორთაბრძოლა ასკ-მ მინიმალური უპირატესობით მოიგო — 69:68.

აქ შეიძლებოდა თხრობისთვის წერტილი დაგვესვა, ერთ უსიამოვნო ფაქტს რომ არ ჰქონოდა ადგილი. ეს მოხდა პირველ ტაიმში, როცა მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახნენ კიეველი ნოვიკოვი და თბილისელი მანაგაძე. მსაჯმა „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელი დააჯარიმა, მაგრამ ნოვიკოვმა, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება ლიბერალურად ჩათვალა და თვით მოინდომა „სამართლის“ დამყარება. არბიტრებმა არასპორტული საქციელისთვის ნოვიკოვი მოედნიდან გააძევეს. საჯარიმო სროლა თბილისელთა კალათში მის ნაცვლად შემოსულმა პინჩუკმა განახორციელა. თბილისელებმა გააპროტესტეს მატჩი. პროტესტს უახლოეს ხანში განიხილავს კალათბურთელთა საკავშირო ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია.

ნ. ზარემბო.

# „კალევს“ გაეხსნა „მეორე სუნთქვა“

ტარტუ, 20 მარტი. მთელი რიგი წარუმატებელი მატჩების შემდეგ ნელნელა იბრუნებს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის რეპუტაციას ადგილობრივი „კალევი“. გუშინ მან თავის მოედანზე მიიღო სვერდლოვსკის „ურალმაში“ და სატურნირო ცხრილში კიდევ 1 ქულა ჩაიწერა — 80:51. ესტონელ კალათბურთელებს ახლა აქვთ იმდენივე ქულა, რამდენიც ცსკა-ს — 18. მაგრამ „კალევი“ მაინც V ადგილზეა, რადგან პირველ ორ წრეში არმიელებთან მან ორივე მატჩი წააგო.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 32 | 22 | 10 | 2267—2098 | 22 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 28 | 21 | 7 | 1998—1868 | 21 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 20 | 10 | 2196—2057 | 20 |
| ცსკა | 30 | 18 | 12 | 1936—1863 | 18 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 33 | 18 | 15 | 2243—2145 | 18 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 30 | 17 | 13 | 1980—1951 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 30 | 16 | 14 | 2137—2116 | 16 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 30 | 15 | 15 | 2143—2100 | 15 |
| ასკ (რიგა) | 32 | 14 | 18 | 2318—2324 | 14 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 30 | 13 | 17 | 1932—1918 | 13 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 33 | 6 | 27 | 2225—2544 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 32 | 5 | 27 | 2321—2719 | 5 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილია თბილისის „ბურევესტნიკისა“ და კიევის არმიელთა მეორე, გაპროტესტებული მატჩის შედეგიც.

# რეზერვი არ ჩანს

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა თბილისის წლევანდელი ჩემპიონატი კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“, „ბურევესტნიკის“, „განთიადისა“ და არმიელთა სპორტული კლუბის უძლიერესი მოკრივეები.

სამდღიანი ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობა გამოდიოდა, თითქოს საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე როდი მოხდა.

დავიწყებთ იმით, რომ რინგზე მხოლოდ 31 მოკრივე გამოვიდა. ამას გარდა, შეხვედრების უმეტესობა მეტად უფერულად ჩატარდა, რაც მეტოქეთა უთანაბრო ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით იყო გამოწვეული.

მაგალითად, ქართული რინგის ვეტერანს მ. მამამთავრიშვილს ბოლომდე მხოლოდ ვ. ყველიაშვილმა გაუძლო. სხვებთან მისი შეხვედრები პირველივე რაუნდში მთავრდებოდა ვეტერანის აშკარა უპირატესობის გამო. საერთოდ, მეორე ქვესაშუალო წონაში მამამთავრიშვილი ერთადერთია, რომელსაც შეიძლება რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა მივანდოთ. ვეტერანის ოსტატობა, რა თქმა უნდა, გასახარია, მაგრამ ის გვაღელვებს, რომ რესპუბლიკაში რეზერვი არ ჩანს.

მთელ ტურნირში ყველაზე საინტერესო გახლდათ ვ. ცერცვაძისა და ს. ჩიქოვანის ორთაბრძოლა. ორივე მეტოქემ მაყურებელს ტექნიკური კრივი აჩვენა. ცერცვაძე აღიარებული ოსტატია, მაგრამ ჭაბუკი მოკრივე მის ტიტულს როდი შეუშინდა. ამ მოკრივის სახით მსუბუქ ან ქვესაშუალო წონაში კარგ შევსებას უნდა ველოდეთ. მას კარგი მოკრივისთვის საჭირო ყველა მონაცემი აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ აკლია გამბედაობა და სპორტული ჟინი.

დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა ნ. გარაბაჯის, რ. კართაძის, გ. ვარდანიანის, ვ. თამილოვის და რ. აკოფოვის გამოსვლამ.

ტურნირმა ცხადყო, რომ საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შემდეგ საერთო კლასი ზრდის მაგიერ გაუუარესებია.

კრივის საქალაქო ფედერაციამ, თბილისის სპორტკავშირმა და მწვრთნელთა საბჭომ ამ ტურნირის შედეგებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ და გადამჭრელი ღონისძიება მიიღონ მდგომარეობის დროულად გამოსასწორებლად.

წონითი კატეგორიების მიხედვით ქალაქის ჩემპიონები გახდნენ: ნ. სულაკაძე (ასკ), მ. არუთინოვი, გ. ვარდანიანი (ორივე — „ბურევესტნიკი“), ო. კისიევი („განთიადი“), ვ. თამილოვი („შრომითი რეზერვები“), ვ. ცერცვაძე, ნ. გარაბაჯი (ორივე — „ბურევესტნიკი“), მ. მამამთავრიშვილი („განთიადი“), რ. აკოფოვი („ბურევესტნიკი“) და ვ. კლიუშნიკოვი („განთიადი“). გუნდური პირველობა „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა მოიპოვეს.

ე. ქელბაქიანი,
საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაცია-პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.



• • •

ს უ რ ა თ ზ ე: წუთშესვენების დროს სპორტის ოსტატი გ. ვარდანიანი (მარცხნივ) უკანასკნელ დარიგებას აძლევს მოკრივე ვ. ცერცვაძეს.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**fotbal • calcio • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS • NOGOMET**

# ოლიმპიურ მერიდიანებზე

აპრილიდან განახლდება ბრძოლა მეხიკოს ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის შესარჩევ ჯგუფებში.

ევროპის ქვეყნებს, როგორც ცნობილია, მიეკუთვნა 4 ადგილი ფინალში. მრავალრიცხოვანი შესარჩევი შეჯიბრებების შემდეგ გამოვლინდა 4 საბოლოო წყვილი: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი — გდრ, საფრანგეთი — ავსტრია და ესპანეთი — დიდი ბრიტანეთი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველი 2 შეხვედრა, სადაც მხარეები თავიანთ ძირითად ძალებს, ე. ი. ეროვნულ ნაკრებ გუნდებს გამოიყვანენ. ესაა ფაქტიურად ამ ქვეყნების შეხვედრა უმაღლეს დონეზე. რაც შეეხება საფრანგეთ — ავსტრიისა და ესპანეთ — დიდი ბრიტანეთის მატჩებს, აქ მეტოქეები ვერ გამოიყენებენ იმ მოთამაშეებს, რომელთაც კონტრაქტი აქვთ, თუმცა ამ გუნდებს შეუძლიათ ათამაშონ ფეხბურთელები, რომლებიც პროფესიულ კლუბებში გამოდიან, მაგრამ ჯამაგირს არ იღებენ და მოყვარულთა სტატუსი აქვთ (გავიხსენოთ რივერას, ბულგარელის, სალვადორესა და სხვათა მაგალითი რომის ოლიმპიადაზე).

აფრიკიდან მეხიკოში გაემგზავრება 3 გუნდი. ფინალისტების საკითხი უნდა გადაწყდეს ალჟირ — გვინეას, ეთიოპია — ნიგერიისა და მაროკო — კამერუნის შეხვედრებში.

ჩრდ. და ცენტრალური ამერიკიდან ფინალში გადის 2 გუნდი. ტრინიდადი ორჯერ უნდა შეხვდეს სალვადორს. გამარჯვებული მოიპოვებს ფინალის საგზურს. კოსტა-რიკა უცდის ბერმუდის კუნძულებისა და გვატემალას შორის გამარჯვებულს.

ასევე 2 ფინალური ადგილი მიეკუთვნა სამხრეთ ამერიკას. ყველა პრეტენდენტი თავს მოიყრის კოლუმბიაში. მეტოქეები ჯერ ქვეჯგუფებში ითამაშებენ: I — არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, ჩილი, ვენესუელა; II — კოლუმბია, ურუგვაი, პერუ, ეკვადორი, ბოლივია. 2-2 გამარჯვებული თვითეულ ჯგუფიდან გააგრძელებს ბრძოლას წრიული სისტემით. I და II ადგილებზე გასული გუნდები გაემგზავრებიან მექსიკაში.

აზიის 3 ფინალისტიდან ერთი კარგა ხანია ცნობილია — იაპონია. დანარჩენ 2 შესარჩევ ჯგუფში ბრძოლა აპრილის ბოლო რიცხვებისთვის უნდა დასრულდეს.

გაგახსენებთ, რომ ფინალში მიწვეული არიან მექსიკელები, როგორც შეჯიბრების მასპინძლები და უნგრელები, როგორც ოლიმპიური ჩემპიონები.



კიდევ 7 თვე და მეხიკოში, „აცტეკის“ სტადიონზე საზეიმოდ აღიმართება ზაფხულის მორიგი ოლიმპიური თამაშების ალამი. ამავე სტადიონზე შეკრებილი ათეულ ათასობით მაყურებელი ნახავს შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში და, რაც მთავარია, ფეხბურთელთა ტურნირის დასკვნით მატჩებს. სურათზე: ასეთია „აცტეკის“ სტადიონი.

ფოტო საკდესისა.




## მილუტინოვიჩი კვლავ მინდორზეა

იუგოსლავიის ომისშემდგომ ფეხბურთში მიმომხილველები პირველ ადგილს მ. მილუტინოვიჩს მიაკუთვნებენ. „პარტიზანისა“ და ეროვნული ნაკრების ეს სახელოვანი ცენტრფორვარდი დიდი წარმატებით მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებში და რამდენიმე წლის განმავლობაში იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანი იყო.

მილუტინოვიჩი დიდ ფეხბურთს გამოეთხოვა მას შემდეგ, რაც ტუბერკულოზით დაავადდა. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი რამდენიმე სეზონს თამაშობდა გფრ-სა და საფრანგეთის პროფესიულ კლუბებში, თუმცა ვერ დაიბრუნა უწინდელი ფორმა.

2 წლის წინ მ. მილუტინოვიჩმა (იგი დაიბადა 1933 წელს) თავი დაანება თამაშს და „ოფკ ბელგრადის“ მწვრთნელად გადავიდა. მაგრამ მერე მან ეს გადაწყვეტილება ნაადრევად მიიჩნია და სათანადო ვარჯიშის შემდეგ „ოფკ ბელგრადის“ ცენტრალური თავდამსხმელი გახდა.

## „პროფესორი“ ლულა — ახალ კლუბში

განთქმული ბრაზილიელი მწვრთნელი ლულა გულშემატკივართათვის ცნობილი გახდა როგორც პელეს აღმზრდელი. ლულა, რომელსაც „პროფესორს“ უწოდებენ, წლების განმავლობაში ედგა სათავეში „სანტოსს“ და კლუბმა სწორედ მაშინ მიაღწია თავის წარმატებათა მწვერვალს.

მაგრამ ბრაზილიაში ვერავითარი ავტორიტეტი ვერ უშველის მწვრთნელს, თუ კი მისი ფეხბურთელები აგებენ. ასე მოუვიდა ფ. კოსტას, ფეოლას. ასე დაემართა ლულასაც. „სანტოსის“ დროებითმა მარცხმა მისი გადადგომა გამოიწვია.

ამ დღეებში ლულა ცნობილი კლუბის — „კორინტიანსის“ მთავარი მწვრთნელი გახდა.

## სტუმრად „ჭადრაკის პელესთან“

ცნობილი ჟურნალისტი, კუბის საჭადრაკო ჟურნალის რედაქტორი ხოსე ლუის ბარერასი კუბის გაზეთ „გრანმას“ რედაქციის დავალებით ესაუბრა ბრაზილიის ჩემპიონს, 16 წლის ე. მეკინგს. გთავაზობთ ამ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

● გვითხარით ზოგი რამ თქვენი საჭადრაკო ბიოგრაფიიდან?

— დავიბადე 1952 წელს. ტურნირებში 12 წლისამ დავიწყე თამაში. 1965 წელს ბრაზილიის ჩემპიონი გავხდი. 14 წლისამ I ადგილი დავიკავე სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში, რომელიც ამავე დროს ფიდე-ს ზონალური ტურნირი იყო. 1967 წლის დასაწყისში ვითამაშე ჰასტინგსში. გავხდი ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი ჭადრაკის მიმოწერით თამაშში, შემდეგ კი საერთაშორისო ოსტატის წოდება მომენიჭა. შემოდგომით საზონათშორისო ტურნირში ვითამაშე, ხოლო ამასწინანდელ ტურნირში ბრაზილიის ჩემპიონობა შევინარჩუნე.

● თქვენი პარტიებიდან რომელს აღნიშნავდით?

— საზონათშორისო ტურნირში კარგი იყო ჩემი პარტიები კავალეკთან, კორჩნოისთან და გიპსლისთან.

● თქვენი სრული სახელი და გვარი? სად ცხოვრობთ?

— ენრიკე და კოსტა მეკინგი. ვცხოვრობ ქალაქ რიო გრანდე დო სულში.

● მწვრთნელი თუ გყავთ?

— მუდმივი არა. ხანდახან მეხმარება არგენტინელი დიდოსტატი ელისკაზესი.

● რა გეგმები გაქვთ?

— აპრილის შუა რიცხვებში ვითამაშებ ჰავანაში, პანამერიკულ ტურნირში, სადაც განსაკუთრებით ფიშერთან შეხვედრა მაინტერესებს. შემოდგომით ლუგანოში (შვეიცარია) გამოვალ საჭადრაკო ოლიმპიადაში, გაისად კი ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში ვაპირებ მონაწილეობას.

## ორი გამარჯვებული

ჩატეშკა ტოპლიცეში დამთავრდა იუგოსლავიის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც განსხვავებული სისტემით ტარდებოდა. ფინალის 48 მონაწილე ჯერ 8 ქვეჯგუფად დაიყო და ქვეჯგუფებში შეჯიბრება წრიული სისტემით მიმდინარეობდა, შემდეგ ბრძოლა შვეიცარული სისტემით (10 ტური) გაგრძელდა. პირველობაში არ მონაწილეობდნენ დიდოსტატები: გლიგორიჩი, ივკოვი, მატანოვიჩი და ჩირიჩი.

შეჯიბრება ფრიად მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: იუგოსლავიის შარშანდელმა ჩემპიონმა მატულოვიჩმა ქვეჯგუფში ორი დამარცხება იწვნია და ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი დაკარგა. ბოლო დღეს ამ შანსის იმედი დიდოსტატ პარმასაც გადაეწურა. მას მატულოვიჩმა მოუგო.

I-II ადგილები გაიყვეს ოსტოიჩმა და სტუპიცამ (10,5-10,5 ქულა), რომლებიც ჩემპიონის გამოსავლენად მატჩს ითამაშებენ. 9,5-9,5 ქულა მოაგროვეს დიდოსტატებმა მატულოვიჩმა, პარმამ, საერთაშორისო ოსტატებმა მინიჩმა და კურაიცამ. საერთაშორისო ოსტატებს ბერტოკს, პუცს, მეშტროვიჩსა და ოსტატ მესინგს 9-9 ქულა აქვთ.

## კილი არ ცხრება

სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასისთვის მებრძოლმა ვაჟებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლეს და ასპარეზობა ჰქონდათ ასპენში. მსოფლიოსა და გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ფრანგი ჟან კლოდ კილი აქაც შეუდარებელი გახლდათ. ასპენში გამარჯვებით მან 186 ქულა მოაგროვა და ახლა 69 ქულით ასწრებს დ. ჯოვანოლის (შვეიცარია), რომელიც მეორე ადგილზეა. კილის ტურნირის დამთავრებისთანავე მიულოცეს თასის შენარჩუნება, ვინაიდან მისი დაწევა პრაქტიკულად არავის შეუძლია.

▲ **ტუნისი.** ქალაქის გარეუბანში გაიმართა საერთაშორისო კროსი, რომელშიც 13 ქვეყნის 106 სპორტსმენი მონაწილეობდა. 12-კილომეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა 10 კილომეტრზე რბენაში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, მასპინძელთა წარმომადგენელმა მ. გამუდიმ. მან აღნიშნული დისტანცია 35 წუთსა და 25 წამში გაირბინა.

▲ **ოტავა.** კანადის სამთომოთხილამურე ქალთა ჩემპიონატში სამივე სახეობა ცნობილმა სპორტსმენმა, გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ნ. გრინმა მოიგო.

▲ **ბერლინი.** როგორც მშვიდობის 21-ე ველორბოლის სა-



ორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, წლევანდელ ტურნირში მონაწილეობისთვის განაცხადი უკვე წარადგინა 17 ქვეყანამ: ჩეხოსლოვაკიამ, ბულგარეთმა, პოლონეთმა, ინგლისმა, ნორვეგიამ, დანიამ, შვეიცარიამ, ბელგიამ, სსრ კავშირმა, იუგოსლავიამ, გდრ-მ, რუმინეთმა, იტალიამ, უნგრეთმა, შვეციამ, ავსტრიამ, ჰოლანდიამ.

▲ **მელბურნი.** ავსტრალიისა და ამერიკის მძლეოსანთა შეჯიბრებაში 5000 მეტრზე რბენა მოიგო ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა — 13.57,4. ამერიკელი გ. ჰოპკინსი 802 სმ სიგრძეზე გადახტა. წლეულს ასეთი შედეგი ლია ცის ქვეშ არავის უჩვენებია.

▲ **მარიბორი.** სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში აქ გამართული ტურნირის შემდეგ ფავორიტებმა პოზიციები დათმეს. ნ. გრინი IV ადგილზეა, გოიჩელი — VI. შეჯიბრებას ლიდერობს ი. მირი, რომელსაც 150 ქულა აქვს. II ადგილზეა სტიორერი — 124, III — ფამოზი (ყველა — საფრანგეთი) — 115.

## ტრადიციის წინააღმდეგ

„უიმბლდონი კარს უღებს ყველა ჩოგბურთელს, როგორც მოყვარულს, ისე პროფესიონალს“, — განაცხადა ლონდონის ჩოგბურთელთა კლუბის მდივანმა დ. მილსმა. მანვე აცნობა ჟურნალისტებს, რომ ჯილდოებისთვის გათვალისწინებული თანხა უიმბლდონის წლევანდელ ასპარეზობაში 26.150 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ეს აღემატება ყველა თანხას, რომელიც ოდესმე მსოფლიოში არსებულა პროფესიონალ ჩოგბურთელთათვის.

ჩოგბურთელები, რომლებიც გათამაშების პირველივე წრიდან დატოვებენ შეჯიბრებას, 50 გირვანქა სტერლინგს მიიღებენ. ვაჟთა პირად პირველობაში გამარჯვებული მიიღებს 2 ათას, ვიცე-ჩემპიონი — 1.300 გირვანქა სტერლინგს, ქალთა შორის გამარჯვებული — 750, ხოლო II ადგილზე გასული — 450 გირვანქა სტერლინგს. ყველაზე დიდი ჯილდო — 2.625 გირვანქა სტერლინგი მიეცემა მას, ვინც მოიგებს სამ ძირითად შეჯიბრებას: ვაჟთა ერთეულების, ვაჟთა წყვილებისა და შერეული წყვილების ასპარეზობას.

საყურადღებოა, რომ ჩოგბურთელმა შეჯიბრების დაწყებამდე უნდა განაცხადოს, მოყვარულია თუ პროფესიონალი. მოყვარულები, ცხადია, ჯილდოებს არ მიიღებენ. შეჯიბრების დროს მოყვარულის პროფესიონალებში გადასვლა არ შეიძლება.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. **23-29 მარტი.** საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. **24 მარტი.** საკონტროლო მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 11 უე 03992